<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში

ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984 წელი, მუხ. 421) 190-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 190. საქართველოს სახმელეთო საზღვარზე სასაზღვრო რეჟიმის წესის დარღვევა

1. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სახმელეთო მონაკვეთზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სასაზღვრო რეჟიმის დარღვევა, ჩადენილი ტურისტული, სამეცნიერო-კვლევითი, სამონადირეო, სასოფლო-სამეურნეო ან სხვა არასამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას, -

გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას 20 ლარის ოდენობით.

2. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სახმელეთო მონაკვეთზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სასაზღვრო რეჟიმის დარღვევა, ჩადენილი სამრეწველო, სარეწი, ობიექტების მომსახურების, მშენებლობის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ლიცენზირებადი საქმიანობის ან/და სანებართვო ქმედების ან სხვა სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას, -

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

3. ამ მუხლის პირველი ან მეორე ნაწილით გათვალიწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, -

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით.

4. საქართველოს ან/და მოსაზღვრე სახელმწიფოს ტერიტორიაზე საზღვრის დაცვის ობიექტების, საზღვრის დაცვის საშუალებების ფოტო/ვიდეო/აერო გადაღება, -

გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით.

5. ამ მუხლის პირველი ან/და მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა, რამაც გამოიწვია:

ა) სასაზღვრო განწესის გადაადგილების შეფერხება, -

გამოიწვევს დაჯარიმებას 250 ლარის ოდენობით;

ბ) სასაზღვრო ინფრასტრუქტურის (მათ შორის, სასაზღვრო ნიშნები, სახელმწიფო საზღვრის დაცვის ტექნიკური საშუალებები და სხვა) დაზიანება ან განადგურება, -

გამოიწვევს დაჯარიმებას 350 ლარის ოდენობით.

6. ამ მუხლის მე-4 ან/და მე-5 ნაწილებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისათვის სახდელდადებული პირის მიერ, -

გამოიწვევს დაჯარიმებას 400 ლარის ოდენობით.

შენიშვნა:

1. სასაზღვრო ზოლსა და სასაზღვრო ზონაში შესვლის, დროებითი ყოფნისა და გადაადგილების შესახებ დადგენილი წესით გაცემული საშვის არქონის ან მისი ადგილზე გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, პირი ვალდებულია შეწყვიტოს სასაზღვრო ზოლსა ან/და ზონაში საქმიანობა და დაუყონებლივ დატოვოს სასაზღვრო ზონისა და სასაზღვრო ზოლის ის ტერიტორია, რომელზეც ვრცელდება სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესი.

2. ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სამართალდამრღვევი ვალდებულია დაუყოვნებლივ წაშალოს გადაღებული ფოტო/ვიდეო მასალა, რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოს შეუძლია გამოიყენოს ამ კოდექსით გათვალისწინებული საქმის წარმოების უზრუნველყოფის ზომები.

3. ამ მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მოქმედება ვრცელდება 150 ლარამდე ღირებულების ქონების დაზიანების ან განადგურების შემთხვევაზე.

4. ამ კოდექსის 22-ე მუხლით დადგენილი წესით ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება და დამრღვევის მიმართ სიტყვიერი შენიშვნის გამოყენება არ ათავისუფლებს დამრღვევს ამ შენიშვნის პირველი ან/და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისგან.“.

მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს 2022 წლის 1 სექტემბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**